რევაზ ლორთქიფანიძე

Revaz Lordkipanidze

Реваз Лордкипанидзе

კონკურენციის გავლენა ტემპებსა და პროპორციებზე მსოფლიო ეკონომიკაში

The Influence of Competition on Growth Rates and Proportions in World Economy

Влияние конкуренции на темпы и пропорции в мировой экономике

თბილისი

Tbilisi

Тбилиси

2015

წმინდა ქაშვეთის ტაძარში, მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით, მსოფლიო მეურნეობისა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სპეციალობით ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რევაზ ლორთქიფანიძე აწარმოებს კვლევებს ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლებით ადამიანის ცხოვრების დონის ამაღლების საკითხებზე. წინამდებარე შრომა ეძღვნება კეთილსინდისიერ კონკურენციასა და ეკონომიკის არსებითი ზრდისათვის აუცილებელ ხალხთა მეგობრობას.

Dedicated to the Fair Competition and Friendship of the Peoples

Посвящается добросовестной конкуренции и дружбе народов

ISBN 978-9941-0-7992-4 (PDF)

კონკურენციის გავლენა ტემპებსა და პროპორციებზე მსოფლიო ეკონომიკაში

კეთილსინდისიერი კონკურენციის პრიორიტეტულ მნიშვნელობაზე უკვე მოგახსენეთ ჩემს ადრინდელ კვლევებში [1–7], რომლებშიც დასაბუთებულია, რომ კონკურენცია ფუძემდებლურ (განმსაზღვრელ) გავლენას ახდენს პროგრესისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საგანმანათლებლო სისტემაზე, მეცნიერულ–ტექნიკურ ინოვაციებსა და, საბოლოო ჯამში, საზოგადოების ეფექტიან მართვაზე.

ამჯერად, მსოფლიო ეკონომიკაში ეკონომიკური ზრდის ტემპებსა და პროპორციებში კონკურენციის გავლენაზე შევჩერდები, რაც, ვფიქრობ, აქტუალურია, როგორც დიდი, ასევე, მცირე ქვეყნებისათვის.

მსოფლიოში განხორციელებული ისტორიული მოვლენები ცივი ომის აცილებისა და რკინის კედლის ნგრევის სახით, კარგ საშუალებას იძლევა განზოგადებისათვის. მესამე ათასწლეულამდე, მსოფლიო, შეიძლება ითქვას, 2 ერთმანეთისათვის უმეტესწილად ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემის სახით იყო წარმოდგენილი, რომელთა შორის კედელი დაინგრა და კონკურენციას მეტი გასაქანი მიეცა, თუმცა, კეთილსინდისიერი კონკურენციის დადებითი გავლენის პოტენციალი, ბუნებრივია, ჯერ შესაძლოდ სრულად არ ამოქმედებულა, რაც, ჩემი აზრით, ეკონომიკის ობიექტური კანონზომიერებებით განვითარების შემთხვევაში, დაახლოებით კიდევ 7–10 წელს მოითხოვს.

ე.წ. რკინის კედლის რღვევის დასაწყისისათვის (1990 წ.), მსოფლიოს ეკონომიკის ზრდის ტემპი შეადგენდა 2,0%–ს შეადგენდა [10, გვ. 235], 2012 წელს კი, ციკლური რყევების საერთაშორისო კრიზისის უარყოფითი გავლენის მიუხედავად – 2,4% შეადგინა, რაც, პროგნოზული გათვლებით, 2017 წლისათვის კიდევ 0,8 პროცენტული პუნქტით აიწევს [8, იხილეთ დანართი].

მისანიშნებელია, რომ განვითარებად ქვეყნებს შორის განსაკუთრებული ტემპებით გამოირჩევა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი უმსხვილესი ჩინეთი

[დასახელებული წყარო], ხოლო მაღალი შემოსავლების ქვეყნებში – რუსეთი [იქვე]. განსაკუთრებით მაღალი ტემპებით, როგორც წესი, გამოირჩევიან სტაბილურად საუკეთესო კონკურენტული პირობებით ცნობილი შედარებით მცირე ქვეყნები – შვეიცარია, ბელგია, დანია, ლუქსემბურგი და სხვ [8–11]. არანაკლები გეოპოლიტიკური და ჰიდრო–რესურსული პოტენციალი გააჩნია საქართველოს, რომელიც რეფორმების სტაბილურად გაგრძელების შემთხვევაში, აუცილებლად გამოავლენს თავის საუკეთესო შესაძლებლობებს.

საჭიროა ხაზი გაესვას გარემოებას, რომ ზემოაღნიშნული მაღალი ტემპების უზრუნველსაყოფად, განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით, არც ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს კანონმდებლობა არის დაზღვეული ბუნებრივი ხარვეზებისაგან, რაც, დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შემდგომი გონივრული განხილვების საფუძველზე, დროულად უნდა გასწორდეს.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის „ი“ პუნქტის თანახმად, „...ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინირებული მდგომარეობის მქონედ, თუ ის არ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას სხვა ეკონომიკური აგენტებისაგან...“

ჩემი აზრით, დომინირებული მდგომარეობის შეფასება დასაზუსტებულია, როგორც ტერმინოლოგიური, ასევე, რაოდენობრივი თვალსაზრისითაც.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, განვიხილოთ სიტუაცია, როცა ბაზარზე 2 მსხვილი მიმწოდებელია 41 და 42 პროცენტული ხვედრითი წონებით და სხვა მიმწოდებლებზე მოდის დანარჩენი 17%. გამოდის, რომ 41%–იანი მიმწოდებელიც დომინირებულ მდგომარეობაშია, მაგრამ ის არ განიცდის, თუ განიცდის მნიშვნელოვან კონკურენციას 42%–იანი უფრო დომინანტის მხრიდან? მაშასადამე, ამ და სხვა მრავალ შემთხვევებში, მე–3 მუხლის „ი“ პუნქტი ურთიერთგამომრიცხავ სიტუაციებს აერთიანებს.

ვფიქრობ, დომინირებული მდგომარეობა ცალსახად 50%–ზე მეტია, რაც განსაკუთრებული დაკვირვების საგანი უნდა გახდეს კონკურენციის ახლადშექმნილი სააგენტოს მხრიდან, რომელმაც უკვე გამოიჩინა თავი თავისი აქტიური გონივრული მოქმედებებით.

თუ დომინანტი შეიძლება მხოლოდ იმ მიმწოდებელს ვუწოდოთ, რომელიც ბაზრის ნახევარზე მეტს „აკონტროლებს“, მონოპოლიზმისაკენ მიდრეკილება, საერთაშორისო გამოცდილებით, შეიძლება შევაფასოთ 20 და 30%–იანი ხვედრიწონებითაც, როცა ზოგიერთი უკვე ამ დონეზეც ახერხებს ბაზრის „გაკონტროლებას“.

შესაბამისად, საქართველოს პირობებში, როცა ახალგაზრდა ეკონომიკა მნიშვნელოვნად განიცდის მონოპოლიების გავლენას, 40%–იანი ნიშნული 30%–მდე მაინც უნდა დავწიოთ და მას კონცენტრაციის ზღვარი ვუწოდოთ. 40%–იანი ზღვარი კი შეიძლება შენარჩუნდეს მაღალმთიანი რეგიონებისათვის, სადაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვანწილად ნაკლებია ბაზრის „მოთამაშე“ მიმწოდებლები.

აშშ–ს, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და ეკონომიკურად სწრაფადმზარდი ჩინეთისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითებით, გასათვალისწინებელია, აგრეთვე, კონკურენციის მონიტორინგისა და დაცვის სამსახურების 2, 3 ან 4–რგოლიანი ინსტიტუტების შექმნის გამოცდილება. თუ, ამ შემთხვევაში, სააწყის ეტაპზე, ზომიერ შუალედურ პოზიციას დავიჭერთ და 3–რგოლიან სისტემას შევქმნით, ჩვენი აუცილებლობებიდან გამომდინარე, „კონკურენციის სააგენტოს“ ზედამხედველობით, მიზანშეწონილია, 2 მობილური კომისია შეიქმნას, მ.შ. იუსტიციის სამინისტროსთან – საწარმოთა შერწყმის მონიტორინგის კომისია, ხოლო ფინანსთა სამინისტროსთან – ფასების მონიტორინგის კომისია, რომელიც ე.წ. „მტაცებლურ დემპინგსა“ და სხვა მონოპოლიურ მიდრეკილებებს დააკვირდება.

რაც შეეხება ბაზარზე კონკურენციის დონის ანალიზს, აქ, კონკურენციის ობიექტური კანონზომიერების ჩემი შეფასებების [მ.შ. იხილეთ 1, გვ. 11] საფუძველზე, მიზანშეწონილია, მრავალფაქტორული მიდგომების გამოყენება, მ.შ. კონკურენტთა რაოდენობის, ყველაზე მსხვილი მიმწოდებლის, არარეალიზებული და

ფალსიფიცირებული პროდუქციის (რამაც სახიფათოდ იმატა გახანგრძლივებული საერთაშორისო კრიზისის შემდეგ, როცა გართულებულია წესიერი გზებით ოპერირება ბაზარზე) ინდექსების მონაწილეობით, რაც, შედეგად, ეკონომიკური სტრუქტურის აუცილებელი ეფექტიანობის შეფასების ევროკავშირის მეთოდოლოგიის განვითარებას [დასახელებული შრომა, გვ. 27–29] შეიძლება დავუკავშიროთ.

მსოფლიო ეკონომიკაში კონკურენციის არეალის გაფართოებასთან ერთად, არსებითად შემცირდა სიღარიბის დონე [9, იხ. დანართიც], თუმცა, განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 75%–ს ჯერ კიდევ 4$–ზე ნაკლები შემოსავალი აქვს დღეში და ამ ქვეყნების 60 წლის ასაკის მოსახლეობა, განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, უფრო მაღალი სიკვდილიანობით ხასიათდება (კაცები 2,5 ჯერ მეტი, ქალები 4–ჯერ მეტი).

კონკურენციის არეალის გაფართოებამ მსოფლიოში, არსებითად შეცვალა ეკონომიკური პროპორციებიც (კუსტარული სოფლის მეურნეობა 5%–იან ნიშნულზე დაბლა დაეცა, მრეწველობა, მ.შ. თანამედროვე აგრო და სამშენებლო ინდუსტრია 33%–ის დონეზე დასტაბილდა, ხოლო მეტწილად მცირე ობიექტებით დაწინაურებული მომსახურების სფერო 63%–მდე [10, გვ. 237] გაიზარდა), რამაც, უახლესი პერიოდისათვის, განსაკუთრებით იმოქმედა უპირატესად ინოვაციური ინტელექტუალური დარგების (მეცნიერებატევადი კომპიუტერული მომსახურება, ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ელექტრონიკა, რობოტოტექნიკა, ინფორმაციული სისტემები) განვითარებაზე.

წყაროები

1. რევაზ ლორთქიფანიძე, კონკურენციის რაციონალური ძალის დაცვისათვის - მითიდან კანონზომიერების აღმოჩენამდე. - თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“, 2014, ISBN 978-9941-0-7312-0 (PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/69407
2. რევაზ ლორთქიფანიძე, საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენციის ობიექტური კანონზომიერების შესახებ კომენტარები. – 2015, ISBN978-9941-0-7882-8(PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/102435
3. რევაზ ლორთქიფანიძე, კონკურენციის ობიექტური კანონზომიერება (ინგლისურ ენაზე), 2015, ISBN 978-9941-0-7342-7 (PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/73769
4. რევაზ ლორთქიფანიძე, კომპიუტერული თაობა ადამიანის ეკონომიკური კეთილდღეობის დიდი ნახტომისათვის. - თბილისი, წმ. ქაშვეთში მოღვაწე მამა ღვთისოს კურთხევით, 2015, ISBN 978-9941-0-7587-2 (PDF), http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/87017
5. რევაზ ლორთქიფანიძე, ეკონომიკური კონკურენციის კანონის ნიშან-თვისებების აღმოჩენა და ინდექსები დენის ძალის კანონის მსგავსად (რუსულ ენაზე), 2014, ISBN 978-9941-0-6792-1, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/47189
6. რევაზ ლორთქიფანიძე, საერთაშორისო ანტიმონოპოლიური პოლტიკისათვის სიღარიბის წინააღმდეგ მსოფლიო ეკონომიკის ეფექტიან სტრუქტურაში: კონცეფცია (ინგლისურ ენაზე), 2014, ISBN 978-9941-0-6784-6, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/47096
7. რევაზ ლორთქიფანიძე, გლობალური კონკურენცია ადამიანის ეფექტიანი გამდიდრებისათვის, 2014, ISBN 978-9941-0-6301-5, http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/29377
8. http://www.worldbank.org/en/publication/global-economic-prospects/summary-table

9. http://econ.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/EXTDEC/EXTRESEARCH/EXTWDRS/EXTNWDR2013/0,,contentMDK:23464061~pagePK:8261309~piPK:8258028~theSitePK:8258025,00.html
10. World Development Report 1997. – The World Bank, Oxford University Press.
11. http://www.wsj.com/articles/world-bank-cuts-2015-global-growth-forecast-to-2-8-1433966532

დანართი

The Global Outlook in Summary [8]

Forecast Table
(percentage change from previous year,
except interest rates)

	2012	2013	2017f
REAL GDP			
World	2.4	2.5	3.2
High income	1.4	1.4	2.2
United States	2.3	2.2	2.4
Euro Area	-0.7	-0.4	1.6
Japan	1.7	1.6	1.2
United Kingdom	0.7	1.7	2.2
Russia	3.4	1.3	2.5
Developing countries	4.9	5.1	5.4
East Asia and Pacific	7.4	7.1	6.6
China	7.7	7.7	6.9
Indonesia	6.0	5.6	5.5

Thailand	7.3	2.8	4.0
Europe and Central Asia	1.9	3.7	3.6
Kazakhstan	5.0	6.0	4.1
Turkey	2.1	4.2	3.7
Romania	0.6	3.5	3.5
Latin America and the Caribbean	2.9	2.7	2.8
Brazil	1.8	2.7	2.0
Mexico	4.0	1.4	3.5
Argentina	0.8	2.9	3.0
Middle East and North Africa	1.3	0.5	3.8
Egypt	2.2	2.1	4.8
Iran	-6.6	-1.9	2.0
Algeria	3.3	2.8	4.0
South Asia	5.4	6.3	7.5
India	5.1	6.9	8.0
Pakistan	3.5	4.4	4.5
Bangladesh	6.0	6.1	6.7
Sub-Saharan Africa	4.1	4.2	5.0
South Africa	2.5	1.9	2.4
Nigeria	4.3	5.4	5.5
Angola	8.4	6.8	5.1

MEMORANDUM ITEMS

World real GDP (2010 PPP weights)	3.1	3.3	4.0
OECD real GDP	1.2	1.3	2.1
Non-OECD real GDP	3.8	2.6	3.2
Developing country real GDP excluding BRICS	3.5	4.3	4.6
BRICS real GDP	5.4	5.4	5.6
Low-income countries	6.5	6.2	6.6
World trade volume	3.1	3.3	4.9
Oil price	1.0	-0.9	4.7
Non-oil commodity price index	-8.6	-7.2	1.3
Manufactures unit export value	-1.2	-1.4	1.7
6-mo. US LIBOR nterest rate (percent)	0.7	0.4	…
6-month Euro LIBOR interest rate (percent)	0.8	0.3	…
International capital flows to developing countries (% of GDP)			
Developing countries	5.0	5.9	4.8
East Asia and Pacific	4.6	6.4	4.6
Europe and Central Asia	8.0	7.5	6.5
Latin America and the Caribbean	5.4	5.9	5.2
Middle East and North Africa	1.9	2.5	2.2
South Asia	5.7	4.5	5.5
Sub-Saharan Africa	5.4	5.2	3.9

The Fair Competition Wins Worldwide Poverty [9]

More than 20 percent of the population in developing countries live on less than $1.25 a day, more than 50 percent on less than $2.50, and nearly 75 percent on less than $4.00.